**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-83**

ქ. თბილისი 27 მაისი 2019 წელი

**შემსყიდველი:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორი **ბერიკა შუკაკიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

**მიმწოდებელი:** შპს „ესენ ჯორჯია“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **სურია კუმარის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-8 მიკრო რაიონი, კორპ. 32, ბ.11;
საიდენტიფიკაციო კოდი: 400184769;
საბანკო რეკვიზიტები: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია, ბანკის კოდი:UGEBGE22, ა/ა:GE83 VT09 0112 2112 3036 02

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT) (ტენდერის **№NAT190007650**) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.

1.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებილების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს" მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილი STEM ტექნოპარკისა და გამოფენის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა (***CPV:79952000 - ღონისძიებების ორგანიზება***), შესასყიდი მომსახურების დეტალური მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების *დანართი №1-ში.*

**მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **183 903.00** (ას ოთხმოცდასამი ათას ცხრაას სამი) ლარს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ფასები და რაოდენობა მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში;

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (დღგ-ს ჩათვლით);

3.5. დაფინანსების წყარო: ***სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი (პროგრამული კოდი: 32 02 02 03).***

**მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი**

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

4.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება იქნება უნაკლო.

**მუხლი 5. გასაწევი მომსახურების ვადა და პირობები**

5.1. მომსახურების გაწევის თარიღი: 2019 წლის 18 ივნისი;

5.2. STEM ტექნოპარკისა და გამოფენის გამართვის ადგილია: ქ. თბილისი, სასტუმრო "Rooms Hotel Tbilisi" -ის გარდენჰოლის დარბაზი და სასტუმრო "Stamba Hotel"-ის ამფითეატრი.

## მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება გაფორმდება ერთიანად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის შესყიდვების კოორდინატორს **ივანე კვიტაიშვილს**, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

## მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო გადახდა არ გამოიყენება.

## მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 **„შემსყიდველს" უფლება აქვს:**

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.3 **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 ხარისხიანად და კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 **„მიმწოდებელს" უფლება აქვს:**

8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

## მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულ-ების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამ-ტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გა-დააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის" წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამ-ოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგ-ად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის შესყიდვების სპეციალისტი **მაია კვარაცხელია**, რომელიც დაწერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

## მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

## მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან შტამპი;

16.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

**შემსყიდველი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

**ბერიკა შუკაკიძე**
დირექტორი

**მიმწოდებელი:**
შპს „ესენ ჯორჯია“

გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა

**სურია კუმარი**
დირექტორი

დანართი N1

| N | დასახელება | პარამეტრები | რაოდენობა | ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით) | საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით) |
|---|---|---|---|---|---|
| "STEM ტექნოლოგიების გამოფენისა" და პროექტის შემაჯამებელი, დასკვნითი ღონისძიების გამართვის თარიღი: 2019 წლის 18 ივნისი;<br>ღონისძიების ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი, სასტუმრო "Rooms Hotel Tbilisi" -ის გარდენპოლის დარბაზი და სასტუმრო "Stamba Hotel"-ის ამფითეატრი (გარდენპოლის დარბაზისა და ამფითეატრის იჯარის შესყიდვა ხორციელდება შემსყიდველის მიერ). | | | | | |
| სარეკლამო კონსტრუქციები (საიმიჯო სტენდებისა და ვირტუალური სივრცისთვის) გარდენპოლის ტერიტორიაზე | | | | | |
| 1 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო სტენდისთვის) სკოლის შენობა | **კონსტრუქცია სკოლის შენობა:**<br>მასალა: დეესპესგან გაკეთებული სკოლის შენობა, ხის ჩარჩოებზე აწყობილი;<br>სახურავის მასალა: ნაზეჭდი თვითწებადი ფირით დაბრენდილი PVC.<br>შიდა და გარე პერიმეტრი, სახურავიანად დაბრენდილი უნდა იყოს თვითწებადი ბრენდირებული/ნაბეჭდი ფირით.<br>შენობაზე ამოჭრილი უნდა იყოს ფანჯარა, რომელშიც ჩასმული უნდა იყოს ნახევრად გამჭვირვალე ორგმინა. შენობის შიგნით უნდა დამონტაჟდეს პროექტორი, ისე რომ ამოჭრილ ფანჯარაზე შიგნით მყოფი ადამიანის ჩრდილი/გამოსახულება გამოჩნდეს.<br>ზომები: სიგანე: 3.5 მეტრი, სიმაღლე 3.3 მეტრი, სიღრმე 3.5 მეტრი, ფანჯრის ზომა 3 მეტრიX1.10 მეტრზე. შენობაზე უნდა იყოს მოცულობითი ასოებით დაწერილი სახელი „სკოლა" - "School", რომელიც იქნება შიდა დინამიური ნათებით განათებული. წარწერის მასალა - ორგმინა PVC (იხილეთ დინამიური ნათების ნიმუში ვიდეორგოლის სახით).<br>წარწერის „სკოლა" - "School" - ზომები მოცემულია თანდართულ ფაილში.<br>სკოლის კედლებიდან 3 მხარე უნდა იყოს თოკებით (კანაფის), დეკორატიული სამაგრებითა და ფოტოებით გაფორმებული. თოკის სიგრძე: 50 მეტრი.<br>ფოტოების რაოდენობა: 300 ცალი ფოტო (ზომა 10სმX15სმ).<br>**პროექტორის მონაცემები:**<br>მატრიცის გაფართოება: 1024 x 768<br>სიკაშკაშე: 3600 ANSI lm<br>ნათურის სიმძლავრე: 190 W<br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სარეკლამო კონსტრუქცია სკოლის შენობის ნახაზი და დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 1 ცალი | 14986.00 | 14986.00 |
| 2 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო სტენდისთვის) - ციცხალი ფირფიტებისგან დამზადებული აშშ-ის დროშა | **ციცხალი ფირფიტებისგან დამზადებული ა.შ.შ-ის დროშა:**<br>ზომები: სიმაღლე 2.4 მ, სიგანე - 3.60 მ.<br>დროშას უნდა ჰქონდეს ციმციმის და ლივლივის ეფექტი, რაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი აპარატურული მოწყობილობის თანხლებით;<br>უნდა იყოს განათებული დიოდური ნათებით.<br>ფონად უნდა ისმოდეს ამერიკის ჰიმნი, რაც უნდა იქნას უზრუნველყოფილი შესაბამისი აპარატურით.<br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 1 ცალი | 8910.00 | 8910.00 |
| 3 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო სტენდისთვის) - ალბერტ აინშტაინი | **პნევმოკონსტრუქცია მასკოტი, რომელსაც ექნება ფიზიკოს ალბერტ აინშტაინის ფორმა და გამოსახულება:**<br>ზომა: სიმაღლე - 3 მეტრი.<br>გასაბერი კონსტრუქციის მასალა: "მონაკო" - 100% პოლიესტერი, გაჟღენთილი პოლეურიტანით, მასალის სიმჭიდროვე 200გრ/მ²<br><br>კონსტრუქციის გასაბერი მოწყობილობა განთავსებული უნდა იყოს უშუალოდ გასაბერი კონსტრუქციის შიგნით (დაფარულად).<br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 1 ცალი | 7316.00 | 7316.00 |
| 4 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო სტენდისთვის) - მიკროსკოპი | **მიკროსკოპი- ბრენდირებული გასაბერი პნევმოკონსტრუქცია:**<br>მასალა: "მონაკო"ს - 100% პოლიესტერი, გაჟღენთილი პოლეურიტანით, მასალის სიმჭიდროვე 200გრ/მ²<br><br>სიმაღლე: 3 მეტრი, დიამეტრი 1.50 მეტრიდან 2 მეტრამდე.<br>კონსტრუქციის გასაბერი მოწყობილობა განთავსებული უნდა იყოს უშუალოდ გასაბერი კონსტრუქციის შიგნით (დაფარულად).<br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 1 ცალი | 7316.00 | 7316.00 |
| 5 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო სტენდისთვის) - კოლბა | **მოცულობითი კოლბა:**<br>მასალა: გამჭვირვალე PVC.<br>ზომა: სიმაღლე - 2მ;<br>დამატებითი ეფექტი: ბოლის ამოფრქვევა კოლბიდან, ბოლი უნდა იყოს უსუნო.<br>დამატებითი ეფექტის მისაღებად გამოყენებულ უნდა იქნას მშრალი ყინული.<br>დამატებითი ეფექტის (ბოლის გამოშვება) უზრუნველყოფა უნდა მოხდეს შემდეგნაირად: სამი საათის მანძილზე ნახევარ საათიანი ინტერვალებით.<br><br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 1 ცალი | 8496.00 | 8496.00 |
| 6 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო სტენდისთვის) - მოლეკულა | მოლეკულა:<br>მასალა: პენოპლასტი. მეტალის სადგამზე.<br>ზომა: სიმაღლე 1 მეტრი.<br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 2 ცალი | 1475.00 | 2950.00 |
| 7 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო, ვირტუალური სივრცის სტენდისთვის) - პროგრამირებადი ლედ.კუბი | ლედ კუბი:<br>1. მართვის პლატა;<br>2. წარმოების დიზაინი, ინდუსტრიული 24/7;<br>3. რეზოლუცია 16x16x16;<br>4. ნათურის ტიპი F3mm;<br>5. LED- ების რაოდენობა 4096;<br>6. აუდიო ხაზი;<br>7. დისტანციური მართვა;<br>8. მუშაობის ხანგრძლივობა: უწყვეტ რეჟიმში;<br>9. ენერგო მოხმარება DC 5V, 6A;<br>**ლედ კუბის ტექნიკური სპეციფიკაცია:**<br>ლედ კუბი ფერების რაოდენობა: ერთი ფერის (ფერი დაზუსტდება შემსყიდველის მიერ).<br>ლედ კუბი უნდა იყოს პროგრამირებადი (პროგრამის შინაარსი შემსყიდველთან შეთანხმებით), უნდა იდგეს პოდიუმზე, რომელიც გარედან იქნება გამჭვირვალე და დამზადებული იქნება ორგმინისგან. უნდა იმართებოდეს მართვის პულტით, ასევე საშუალებას იძლეოდეს, რომ პროგრამირებისა და ჩამოტვირთვის გარეშე გახსნას ანიმაციები, სერიული ჩამონტაჟებული USB , PC მართვის პროგრამული უზრუნველყოფა. ავტომატურად უნდა ცნობდეს საკომუნიკაციო პორტს.<br><br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ლედ კუბის პროგრამის შინაარსის 2 (ორი) ვერსია კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 1 ცალი | 12036.00 | 12036.00 |
| 8 | ჰოლოგრამა (საიმიჯო, ვირტუალური სივრცის სტენდისთვის) | **სამგანზომილებიანი გამოსახულება ჰოლოგრამული დისპლეის გამოყენებით (გამოსახულების თემატიკა: გეოგრაფია - დედამიწა)**<br>**3D ჰოლოგრამული დისპლეის ტექნიკური სპეციფიკაცია:**<br>1. დიამეტრი_65სმ;<br>2. ეკრანის ზომა_60სმ;<br>3. რეზოლუცია_512X512;<br>4. ფაილური ფორმატების მხარდაჭერა: JPG, GIF, MP4, AVI, RMVB, MOV;<br>5. წარმოების დიზაინი, ინდუსტრიული 24/7;<br>6. მუშაობის ხანგრძლივობა უწყვეტ რეჟიმში 50 000 საათი;<br>7. ენერგო მოხმარება 50 ვატი;<br>8. WIFI/Bluetooth მხარდაჭერა;<br>9. კონტროლი და ინფორმაციის გადაცემა- PC/მობილური აპლიკაციით;<br>10. 9 მოწყობილობის სინქრონში მუშაობის შესაძლებლობა;<br><br>**3D ჰოლოგრამული სტენდის ტექნიკური მოთხოვნები:**<br>მეტალის მასალისაგან დამზადებული, 9 მოწყობილობილობაზე გათვლილი კონსტრუქცია, რომელზეც განთავსდება 9 ცალი მოწყობილობა და იმუშავებს სინქრონში და შექმნის ერთიან გამოსახულებას.<br>გამოსახულების ფართობი უნდა იყოს 2,5 კვმ.<br>კონსტრუქცია დამზადებული უნდა იყოს მილკვადრატისაგან დიამეტრით 25მმ.<br>კონსტრუქცია უნდა აეწყოს იმგვარად, რომ მოწყობილობებს შორის დამაკავშირებელი სადენები განთავსდეს მილკვადრატში.<br>კონსტრუქციაზე მოწყობილობების სამაგრი წერტილები უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მათი ფრთების გადაკვეთის წერტილებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 3 მილიმეტრს.<br>კონსტრუქციის პერიმეტრი უნდა შეიფუთოს ორგნიმის მასალით, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.<br>ასევე მოწყობილობების სამაგრები კონსტრუქციაზე განთავსებული უნდა იყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი რეგულირება და ადვილად ჩანაცვლება.<br>**მიმწოდებელმა კონტრაქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყოს ჰოლოგრამის დისპლეიზე გასაშვები გრაფიკული გამოსახულების (თემატიკა:გეოგრაფია - დედამიწა) შექმნა - 1 (ერთი) წუთის ხანგრძლივობის ვიდეორგოლი.** | 9 ცალი | 1000.00 | 9000.00 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | სტენდი მაგიდით | სტენდის მასალა: ლამინატი;<br>ფერი: დაზუსტდება შემსყიდველის მიერ;<br>ზომა: სიმაღლე 2.5 მ, სიგანე 1.8 მეტრი;<br>მაგიდის ზომები: სიმაღლე 1მ, სიღრმე 60 სმ, სიგანე 1,5მ.<br><br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სტენდის (მაგიდით) დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში** | 30 ცალი | 401.20 | 12036.00 |
| | | ტექნიკური აღჭურვილობა | | | |
| 10 | ლედ ეკრანი ლეპტოპით | მოცულობა:12 კვ.მ;<br>ლედ ეკრანი დამაგრებული უნდა იყოს ფერმაზე . ეკრანს თან უნდა ახლდეს 1 (ერთი) ცალი ლეპტოპი. | 1 ცალი | 6254.00 | 6254.00 |
| 11 | ლედ ეკრანის ჩარჩო | ლედ ეკრანს უნდა ჰქონდეს შავი მერქნის დისპერსიული ფრაქციის (მდფ-ის) სარკისებური ჩარჩო, თვითწებადი ფირით თემატურად დაბრენდილი.<br>ზომები: ჩარჩოს სიგრძე: 14 მეტრი, სიღრმე 30 სმ. | 1 ცალი | 1198.00 | 1198.00 |
| 12 | განათება | განათება შემდეგი პირობებით: გარდენ ჰოლის განათება/მინათების ხარისხი - სცენის სატელევიზიო განათება, 2 კილოვატი, განათება უნდა იყოს თეთრი. | 4 ცალი | 130.00 | 520.00 |
| 13 | ბეიჯი თოკით | ბეიჯის ზომა: 14სმX9სმ;<br>ბეჭდვა: 300გრ. ცარცის ქაღალდი (4+0);<br>ლამინაცია ორმხრივი;<br>სახელის და გვარის აღმნიშვნელი თოკით, თოკზე დატანილი ლოგოთი;<br>ბეიჯის შიგთავსი უნდა იყოს ფერადი,წინასწარ გადაცემული სახელობითი სიის მიხედვით დაბეჭდილი და ჩალაგებული უნდა იყოს ბეიჯებში. | 450 ცალი | 4.25 | 1912.50 |
| 14 | სერტიფიკატი ჩარჩოთი | სერთიფიკატი A-4 ფორმატის;<br>280 გრამიანი, თეთრი ფერის, ორივე მხრიდან იდენტური ფერის და ხარისხის მქონე ტილოს ფაქტურის;<br>ბეჭდვა - ციფრული სრულფერიანი ბეჭდვა - 4+0;<br>სერთიფიკატებზე სახელი და გვარი მითითებული იქნება ნაბეჭდი სახით (სახელები და გვარები ეცნობება მიმწოდებელს წინასწარ შემსყიდველის მიერ)<br>ბეჭდვა ინდივიდუალური - არასერიული;<br>სერთიფიკატები ჩასმული იქნება ჩარჩოში და წინა მხრიდან ექნება შუშა, ჩარჩოს დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით. | 100 ცალი | 24.78 | 2478.00 |
| 15 | მოლბერტი | სამფეხა კონსტრუქცია,ზომის რეგულირების მექანიზმით (არა ჯაჭვისებური).<br>ზომები: სიმაღლე 1,80მ;<br>მასალა: ნატურალური ხის;<br>დაფარვა: ცვილი, ლაქით. | 5 ცალი | 177.00 | 885.00 |
| 16 | ქაფმუყაო | A0 ფორმატის ქაფმუყაო, მთლიანი ზედაპირის სტიკერით დაბრენდილი;<br>არასერიული, ინდივიდუალური ბეჭდვა;<br>სისქე: 0.8 მმ-იანი.<br>თითოეულ ქაფმუყაოს უნდა ჰქონდეს თავისივე მეტალის და თოკის საკიდი. საკიდი უნდა შეესაბამებოდეს კედლის მასალას, კერძოდ, შესაძლებელი უნდა იყოს ლამინატის კედელზე დაკიდება. | 100 ცალი | 49.56 | 4956.00 |
| 17 | ფარდა | დაბრენდილი ფარდა;<br>მასალა: ტილო;<br>ბეჭდვა: თერმული, ბეჭდვის სავარაუდო ზომა 5მX3მ;<br>სავარაუდო ზომა: 20მX5მ (საბოლოო ზომა შემსყიდველთან შეთანხმებით)<br><br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ფარდის დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში** | 1 ცალი | 1534.00 | 1534.00 |
| 18 | მომენტალური ფოტოების დანადგარებით მომსახურება | მომენტალური ფოტოს დანადგარით (სენსორულ ეკრანზე ღილაკის დაჭერით ფოტოს ბეჭდვა)<br>მომსახურება 3 საათის განმავლობაში.<br>ფოტოების გადაღების ლიმიტი: ულიმიტო;<br>ფოტოების ადგილზე დაბეჭდვის ლიმიტი: 350 ცალი ფოტო<br>შესაძლებელი უნდა იყოს ფოტოების გადაგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე. | 1 ცალი | 649.00 | 649.00 |
| 19 | მომენტალური გიფების დანადგარებით მომსახურება | მომენტალური გიფის დანადგარით (სენსორულ ეკრანზე ღილაკის დაჭერით)<br>მომსახურება 3 საათის განმავლობაში.<br>გიფების გადაღების ლიმიტი: ულიმიტო;<br>შესაძლებელი უნდა იყოს გიფების გადაგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე. | 1 ცალი | 649.00 | 649.00 |
| 20 | ბუსტინგი ფეისბუქზე | Facebook-ის სპონსორობა (BOOSTING) ხელშეკრულების გაფორმებიდან შემსყიდველის მიერ დაკონკრეტებული თარიღიდან 1 (ერთი) კვირის განმავლობაში. | 1 კვირა | 501.50 | 501.50 |
| | | ამფითეატრის ტერიტორიაზე საჭირო ინვენტარი და მომსახურება | | | |
| 21 | Led ეკრანი (დიოდური) | 6მX5მ-ზე ფართობის (30 კვმ) დიოდური ეკრანი, რომელიც იქნება ფერმაზე დამაგრებული. ეკრანი უნდა დაიდგას ღია ცის ქვეშ, სასტუმრო „Rooms Hotel Tbilisi" -ის ამფითეატრში. ეკრანს თან უნდა ახლდეს სამართავი პულტი, (აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ სჭირო ტექნიკით რაც საჭიროა შეუფერხებლად მუშაობისთვის) აღნიშნულ ეკრანებზე უნდა გავიდეს ლაივი და ასევე პრეზენტაციები. | 1 ცალი | 9794.00 | 9794.00 |
| 22 | ტრიბუნა სანათით | გადაშლილი წიგნის ფორმის ტრიბუნა სანათით.<br>ტრიბუნის სადგამის სიმაღლე - 1.1 მეტრი, სიგანე - 1მ +/- 20 სმ.<br>ტრიბუნის მთლიანი ზედაპირი უნდა იყოს ბრენდირებული. ბრენდირება უნდა განხორციელდეს ნაბეჭდი თვითწებადი ფირით. ბრენდირების ზონა: ტრიბუნის სრული ზედაპირი.<br><br>ტრიბუნაზე დამაგრებული უნდა იყოს სანათი, რკინის ფეხზე, ზომა: სიმაღლე - 5მ (+/- 50სმ.).<br>სანათის დეკორატიული ნაწილი: 3 (სამი) ცალი გადაშლილი წიგნი, თითოეულის ცენტრში მრგვალი ლედ ნათურით (3 ცალი).<br>წიგნის მასალა: PVC; ნაბეჭდი თვითწებადი ფირით.<br><br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გამოფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის ნახაზი და დიზაინი. (ტრიბუნის დიზაინში მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ტრიბუნაზე შესაძლებელი იყოს 1 ჭიქა წყლის დადება და უკაბელო დასადგამი მიკროფონის დამაგრება.)** | 1 ცალი | 5664.00 | 5664.00 |
| 23 | ბანერი ეკრანთან დასადგამი | ზომა: 3მX5მ.<br>ხის ან რკინის კონსტრუქციით.<br>მომწოდებლის მიერ უნდა განხორციელეს ბანერის მონტაჟი და დემონტაჟი.<br>მასალა ვინილი, ფერადი (CMYK 4+0).<br><br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს ბანერის ნახაზი და დიზაინი.** | 1 ცალი | 1180.00 | 1180.00 |
| 24 | სარეკლამო კონსტრუქცია (საიმიჯო სტენდისთვის) - ფანქარი | ფანქრის ფორმის პნევმოკონსტრუქცია, ფერადი.<br>ზომები: სიმაღლე - 3მ, დიამეტრი - 0.60 მ<br>გასაბერი კონსტრუქციის მასალა: "მონაკო" - 100% პოლიესტერი, გაჟღენთილი პოლეურიტანით, მასალის სიმჭიდროვე 200გრ/მ²<br><br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის ნახაზი და დიზაინი.** | 2 ცალი | 3540.00 | 7080.00 |
| 25 | ბალიში (ამფითეატრის კიბეებზე განსათავსებლად) | ტილოს ნაჭრისგან დამზადებული ბალიშები;<br>ბალიშის შიგთავსი: 5სმ სისქის ღრუბელი;<br>ბალიშის ზომა: სიგანე 30 სმ, სიგრძე 50 სმ.<br>ბალიშის ფერი დაზუსტდება შემსყიდველის მიერ კონტრაქტის გაფორმების დროს.<br><br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს 3 (სამი) სხვადასხვა ნაჭრის, ფერის დიზაინის მქონე ნიმუში.** | 360 ცალი | 18.00 | 6480.00 |
| 26 | სავარძელი | VIP სავარძელი, ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით | 10 ცალი | 70.80 | 708.00 |
| 27 | მაგიდა | ზომა: 40სმX60სმX40სმ;<br>მასალა:მერქნის დისპერსიული ფრაქციის (მდფ-ის);<br>სრული ზედაპირის სტიკერით ბრენდირება.<br><br>**მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მაგიდის ნახაზი და დიზაინი კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.** | 4 ცალი | 195.00 | 780.00 |
| 28 | მანიშნებელი | დასადგმელი მანიშნებელი:<br>ზომა: სიმაღლე 2მ, სიგანე 1.2მ. ორმხრივი.<br>რკინის ან ხის კონსტრუქციაზე დამაგრებული ქაფმუყაო ან PVC.<br>მთლიანი ზედაპირის სტიკერით ბრენდირება.<br><br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის ნახაზი და დიზაინი.** | 1 ცალი | 183.00 | 183.00 |
| 29 | ფოტო სტენდი | ფოტო სტენდი - ჟურნალის ყდის წინხედის იმიტაცია.<br>მასალა: ზურგის ფონის მასალა - PVC, მეტალის კარკასი, UV ბეჭდვით.<br>წინა მხარე - გამჭვირვალე ორგმინა მერქან-ბურბუშელოვანი ფილის (ე.წ. "დეესპე") ჩარჩოში, ორგმინის სისქე 0.05 სმ.<br>კონსტრუქციის ზომები: სიმაღლე: 3მ, სიგანე 2მ.<br>სრული ზედაპირის სტიკერით ბრენდირება.<br><br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის ნახაზი და დიზაინი.** | 1 ცალი | 8024.00 | 8024.00 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 30 | კუბის ფორმის კონსტრუქცია | მასალა: PVC;<br>კონსტრუქციის ზომები: სიმაღლე - 50სმ, სიგანე - 50სმ, სიღრმე - 50სმ;<br>თითოეული კუბის სრული ზედაპირის სტიკერით ბრენდირება;<br>ბრენდირების თემატიკა: მათემატიკა;<br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს კონსტრუქციის ნახაზი და დიზაინი.** | 6 ცალი | 201.00 | 1206.00 |
| 31 | დროშა | საკიდზე დასამაგრებელი დროშა;<br>1 (ერთი) ცალი საქართველოს და 1 (ერთი) ცალი აშშ-ს დროშა, ორმხრივი, საკიდით;<br>მასალა: ატლასის (60 დენიანი), ინდივიდუალურად შეკერილი;<br>დროშის ზომა: 1მX1,5მ ;<br>**საქონლის დამზადება და შემსყიდველისთვის გადაცემა უნდა განხორციელდეს ღონისძიების თარიღამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღით ადრე.** | 2 ცალი | 71.00 | 142.00 |
| ვიდეო ფოტო მომსახურება (ამფითეატრისა და გარდენჰოლის ტერიტორიაზე) | | | | | |
| 32 | ფოტოგრაფი N1<br>(ფოტო სტენდის ფოტოგრაფი და ფოტოს ბეჭდვა ადგილზე) | ღონისძიების პირველ ნახევარში მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ფოტო სტენდის წინ ფოტო გადაღება და პარალელურ რეჟიმში ფოტოების ადგილზე ბეჭდვა. ფოტოს ბეჭდვის პირობები ღონისძიების ადგილზე: ფერადი ფოტოს ბეჭდვა ფოტო ქაღალდზე. ზომა 10.5 სმ/15სმ-ზე. დაბეჭდილი ფოტოების რაოდენობა 400 (ოთხასი) ცალი.<br>ფოტო გადაღება და ფოტოების ბეჭდვა ისე უნდა განხორციელდეს რომ არ შეჩერდეს ფოტო გადაღება. ფოტოგრაფს უნდა ქონდეს 3 (სამი) ცალი მეხსიერების ბარათი.<br>ფოტოგრაფი აღჭურვილი უნდა იყოს პროფესიონალური Full Frame კამერით. კამერა იქნება აღჭურვილი ხელოვნური განათებით, ფოტო კამერას უნდა ახლდეს ობიექტივები, მათ შორის ფართე კუთხიანი და ტელეობიექტივი. მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს ფოტოსტენდთან გადაღებულ ფოტოებს. ფოტოგრაფს თან ექნება ტექნიკური აღჭურვილობა, რითაც ფოტოების კომპიუტერში გადატანა მოხდება შეუფერხებლად ღონისძიების მსვლელობის დროს. გადაღებული სრული მასალის დამუშავებული ელექტრონული ვერსიების მოწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის მანძილზე. | 1 დღე | 796.50 | 796.50 |
| 33 | ფოტოგრაფი N2<br>(ღონისძიების ფოტოგრაფი) | ფოტო გადაღება შემდეგი პირობებით: ღონისძიების ფოტო გადაღება ამფითეატრში და Graden Hall-ში. (1 ფოტოგრაფი) პროფესიონალური Full Frame კამერით. კამერა იქნება აღჭურვილი ხელოვნური განათებით, ფოტო კამერას უნდა ახლდეს ობიექტივები, მათ შორის ფართე კუთხიანი და ტელეობიექტივი. ჯამში 500 ფოტო (უმაღლესი ხარისხით). მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს ყველა სესიის ამსახველი ფოტოებს.ფოტოგრაფს თან ექნება ტექნიკური აღჭურვილობა, რითაც ფოტოების კომპიუტერში გადატანა მოხდება შეუფერხებლად ღონისძიების მსვლელობის დროს. გადაღებული სრული მასალის დამუშავებული ვერსიების მოწოდება განხორციელდება ღონისძიების დასრულებიდან 2 (სამუშაო) სამუშაო დღეში. | 1 დღე | 402.00 | 402.00 |
| 34 | ღონისძიების ვიდეო გადაღება 2 დამოუკიდებელი ვიდეოკამერისა და 2 ოპერატორის მიერ | ვიდეო გადაღება შემდეგი პირობებით: ყველა სესიის ვიდეო ჩაწერა სრულად, HD ხარისხით. გადაღება მოხდება პროფესიონალთა გუნდის მეშვეობით ( 2 ვიდეო გადამღები) ინდივიდუალური კამერებით. ვიდეო გადამღებებმა უნდა გადაიღონ ღონისძიების მნიშვნელოვანი კადრები (ხმით), რომლისგანაც უნდა დაამონტაჟონ 7 წუთიანი ვიდეო რგოლი. მიმწოდებელი ღონისძიების დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში გადასცემს აღნიშნულ ვიდეო კლიპს. ვიდეო უნდა შეიცავდეს ასევე სინქრონებს, რომელსაც ვიდეო გადამღები ასისტენტის თანხლებით ჩაწერს ღონისძიების მიმდინარეობისას. ვიდეო გადამღები აღჭურვილი იქნება დასამაგრებელი მიკროფონით (ე.წ პეტლიჩკა). | 1 დღე | 501.50 | 501.50 |
| მუსიკალური გაფორმება (გარდენ ჰოლის ან ამფითეატრის ტერიტორიაზე, ტერიტორია დაზუსტდება შემსყიდველის მიერ კონტრაქტის გაფორმების დროს) | | | | | |
| 35 | ბენდი | რეზო კიკნაძის მუსიკალური ბენდი ვოკალისტით. ჰონორარი - დარიცხული თანხა 3 800.00 (სამი ათას რვაასი) ლარი (ყველა გადასახადის გათვალისწინებით) | 1 დღე | 4012.00 | 4012.00 |
| 36 | გახმოვანება ბენდისთვის | რეზო კიკნაძის მუსიკალური ბენდის და ვოკალისტისთვის 1 მიკროფონის და შესაბამისი გახმოვანების დინამიკის უზრუნველყოფა. | 1 დღე | 501.50 | 501.50 |
| გახმოვანება<br>აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ საჭირო ტექნიკით, რაც საჭიროა შეუფერხებლად მუშაობისთვის, მათ შორის იგულისხმება დინამიკების და ყველა სხვა საჭირო შესაბამისი აღჭურვილობის რაოდენობა საჭიროებისამებრ ამფითეატრის ზომის მიხედვით. (უნდა მოხდეს ციფრული ხმის მიწოდება, როგორც ვიდეო გადაღებისთვის ასევე livestream-ისთვის) | | | | | |
| 37 | მიკროფონი ტრიბუნაზე დასადგამი (ე.წ. მაგიდის მიკროფონი) | მიკროფონი ტრიბუნაზე დასადგამი შესაბამისი გახმოვანების დინამიკით და ყველა საჭირო შესაბამისი აღჭურვილობით. | 1 ცალი | 101.00 | 101.00 |
| 38 | მიკროფონი სცენაზე დასადგამი შტატივით | უკაბელო მიკროფონი ამფითეატრის ტერიტორიაზე, უნდა მოყვებოდეს შესაბამისი რაოდენობის დინამიკები და ყველა საჭირო შესაბამისი აღჭურვილობა | 2 ცალი | 101.00 | 202.00 |
| სინქრონული თარგმანი ამფითეატრის ტერიტორიაზე<br>(სინქრონული თარგმანის აღჭურვილობა 350 კაციანი ამფითეატრის სრული მთელი დღის სინქრონული თარგმანისთვის. იგულისხმება ჯიხური, ყურსასმენები და ყველა საჭირო აქსესუარი) | | | | | |
| 39 | ყურსასმენი | ყურსასმენები სინქრონული თარგმნის ხმის მისაღებად, თან უნდა ახლდეს ყველა საჭირო აქსესუარი | 100 ცალი | 10.30 | 1030.00 |
| 40 | თარჯიმნის ჯიხური | სინქრონული მთარგმნელის განსათავსებლად თარგმნის მიმდინარეობისას | 1 ცალი | 1003.00 | 1003.00 |
| 41 | სინქრონული მთარგმნელი | სინქრონული თარგმანი უნდა განხორციელდეს ინგლისურიდან ქართულ ენაზე და პირიქით. სინქრონული თარგმანის ხანგრძლივობა 2 საათი. | 2 საათი | 501.50 | 1003.00 |
| ლაივსტრიმი (ამფითეატრისა და გარდენჰოლის ტერიტორიაზე.) | | | | | |
| 42 | ლაივსტრიმი | ღონისძიების livestream-ით უზრუნველყოფა ტექნიკურად. ლაივსტრიმი უნდა განხორციელდეს როგორც ამფითეატრში ისე გარდენ ჰოლის ტერიტორიიდან. (არ იქნება პარალელური სესიები) დღის წესრიგიდან გამომდინარე. livestream-ის ინტეგრირება შესაბამის ვებგვერდზე და Facebook-ზე. გადაღება განხორციელდება 3 პროფესიონალური კამერით ერთდროულად HD ხარისხით, ციფრული ხმის მიწოდებით. | 3 საათი | 1003.00 | 3009.00 |
| განათება | | | | | |
| 43 | განათება | სანათი მოძრავი თავი (ფერადი ნათება) Beam ან Led Wash 10 ვტ.<br>მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შემსყიდველის მოთხოვნის სესაბამისად უნდა უზრუნველყოს აღნიშნული განათების სადემონსტრაციო ჩვენება ღონისძიების წინა დღეს. | 12 ცალი | 120.00 | 1440.00 |
| 44 | | განათების პროჟექტორი ბლაინდერი - შტატივით, სიმაღლიდან მისანათებლად, სიმძლავრე 2400 ვატი .<br>მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს აღნიშნული განათების სადემონსტრაციო ჩვენება ღონისძიების წინა დღეს. | 2 ცალი | 265.50 | 531.00 |
| 45 | | განათების სტორბე storbe, სიმძლავრე 3000 ვატი<br>მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს აღნიშნული განათების სადემონსტრაციო ჩვენება ღონისძიების წინა დღეს. | 2 ცალი | 265.50 | 531.00 |
| გამაგრილებელი სასმელით სტუმრების გამასპინძლება ამფითეატრის ტერიტორიაზე და კოქტეილის ბარის მოწყობა გარდენ ჰოლში | | | | | |
| 46 | კოლბა კოქტეილისთვის<br>N 1 სახეობა | მასალა: შუშის ქიმიური (კვების მრეწველობისთვის გამოყენებადი) კოლბა კოქტეილისთვის.<br>მოცულობა: 250მლ.<br>ფორმა: წვრილყელიანი, კონუსისებრი, ბრტყელძირიანი. | 200 ცალი | 16.52 | 3304.00 |
| 47 | კოლბა კოქტეილისთვის<br>N 2 სახეობა | მასალა: შუშის ქიმიური (კვების მრეწველობისთვის გამოყენებადი) კოლბა კოქტეილისთვის.<br>მოცულობა: 250მლ.<br>ფორმა: წვრილყელიანი, მრგვალი, ბრტყელძირიანი. | 200 ცალი | 18.00 | 3600.00 |
| 48 | კოქტეილი | უალკოჰოლო კოქტეილი გათვლილი 350 სტუმარზე. კოქტეილი უნდა შეიცავდეს 3 სახეობის გამაგრილებელ სასმელს, მათ შორის გაზიან სასმელს და ნატურალურ წვენს. კოქტეილის ფერი დაზუსტდება შემსყიდველის მიერ. კოქტეილი უნდა იყოს ჩასხმული კოლბაში და თან ახლდეს კოქტეილის ჯოხი. კოქტეილის შეთავაზება შესაბამისი მომსახურე პერსონალის მიერ უნდა მოხდეს ამფითეატრისა და გარდენჰოლის ტერიტორიაზე.<br>**მიმწოდებელმა, კონტრაქტის გამოფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს კოქტეილების სამივე სახეობის შემადგენლობა.** | 400 ჭიქა | 6.02 | 2408.00 |
| დიზაინერის მომსახურება | | | | | |
| 49 | დიზაინი | 1. დიზაინერმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ცხრილის 1,2,3,4,5,6,7,8,9,17,22,23,24,25,27,28,29,30 პოზიციების დიზაინი, კერძოდ: ნახაზები, ფოტომონტაჟი და ვექტორული ფაილები.<br>2. დიზაინერი ვალდებულია დაამზადოს ელექტრონული ბანერები სოციალური ქსელისთვის. ბანერების რაოდენობა: 5 ცალი (არასერიული).<br>**3. დიზაინერი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისამებრ, უზრუნველყოს წარმოდგენილი ფაილების ( ნახაზები, ფოტომონტაჟი და ვექტორული ფაილები, ელექტრონული ბანერები) მოდიფიკაცია ან/და ახალი ვარიანტების წარმოდგენა, ვიდრე არ განხორციელდება მათი საბოლოოდ შერჩევა და დადასტურება შემსყიდველის მიერ.** | 1 დიზაინერი | 425.00 | 425.00 |
| ღონისძიების მონაწილეთა კვებითი მომსახურება | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 50 | ლანჩი | ადგილმდებარეობა: იმავე ტერიტორიაზე, სადაც გაიმართება ღონისძება.<br>ლანჩი იქნება დგომით.<br>ლანჩის მახასიათებელი: შვედური მაგიდა;<br>ცივი და ცხელი კერძები - ბოსტნეული, ხორცეული, თევზეული;<br>ყველის და ძეხვის ასორტი, ცომეული, უალკოჰოლო სასმელები (2 სხვადასხვა ტიპის ნატურალური წვენი), სასმელი წყალი, სეზონური ხილი, 3 სახეობის დესერტი (ნამცხვრის ტიპის, არ განიხილება ორცხობილის ტიპის დესერტი). | 350 პირი | 25.96 | 9086.00 |
| მოწვეული სტუმრების კვებითი მომსახურება ღონისძიების დაწყებამდე | | | | | |
| 51 | ლანჩი | ადგილმდებარეობა: იმავე ტერიტორიაზე, სადაც გაიმართება ღონისძება.<br>ლანჩი იქნება ჯდომით.<br>ცივი და ცხელი კერძები ბოსტნეული, ხორცეული, თევზეული;<br>ყველის და ძეხვის ასორტი, ცომეული, უალკოჰოლო სასმელები (2 სხვადასხვა ტიპის ნატურალური წვენი), სასმელი წყალი, სეზონური ხილი, 3 სახეობის დესერტი (ნამცხვრის ტიპის, არ განიხილება ორცხობილის ტიპის დესერტი). | 25 პირი | 55.46 | 1386.50 |
| სტუმრების ექსკურსიით მომსახურება ღონისძიების მომდევნო დღეს | | | | | |
| 52 | სტუმრების ექსკურსია | მომსახურება გულისხმობს:<br>1. მოწვეული 25 (ოცდახუთი) პირის ტრანსპორტირება შემდეგი მიმართულებით: თბილისი-მცხეთა-თბილისი;<br>2.ექსკურსია ინგლისურენოვანი გიდის თანხლებით;<br>3.სტუმრების სადილით გამასპინძლება მცხეთაში (მენიუ შემსყიდველთან შეთანხმებით) 25 პირზე; | 1 დღე | 2001.00 | 2001.00 |
| ინვენტარის გადაზიდვის მომსახურება | | | | | |
| 53 | ინვენტარის გადაზიდვა | მიმწოდებელმა ღონისძიების დასრულების შემდეგ უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მითითებული ინვენტარის დემონტაჟი და გადაზიდვა ღონისძიების ლოკაციიდან შემსყიდველის მიერ მითითებულ ლოკაციაზე თბილისის მასშტაბით. | 1 დღე | 805.00 | 805.00 |
| | | | | სულ ჯამი: | 183903.00 |

**შემსყიდველი:**
**ბერიკა შუკაკიძე**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

**მიმწოდებელი:**
**სურია კუმარი**
შპს „ესენ ჯორჯია“ -ს დირექტორი

გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ 2019 წლის 27 მაისს გაფორმებული **№01-03-83** ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

**ინსპექტირების განმახორციელებელი პირი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გმოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით ინიცირებული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის შესყიდვების სპეციალისტი

მაია კვარაცხელია

**მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გმოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით ინიცირებული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის შესყიდვების კოორდინატორი

ივანე კვიტაიშვილი

**ვიზირება:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გმოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით ინიცირებული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის მენეჯერი

ნატალია ედიშერაშვილი

**ვიზირება:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი

ია მებისაური

**ვიზირება:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი

ნიკო გიგოლაშვილი

**ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ზერიკა შუკაკიძე